პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი ოთხშაბათი 19 ნოემბერი № 265 (17908) ფასი 2 კაპ.

სახელოვანი 60 წელი

თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვან მეთაურთა საარტილერიო უმაღლეს სასწავლებელს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გულითადად ულოცავენ თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი მეთაურთა საარტილერიო სასწავლებლის კურსანტებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობას, ჯარისკაცებსა და სერჟანტებს, მუშებსა და მოსამსახურეებს სახელოვან იუბილეს — მისი დაარსების მე-60 წლისთავს.

უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლების ჭარ-ცეცხლში შობილი თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებელი საბჭოთა არმიის ერთ-ერთი უძველესი სამხედრო სასწავლებელია, რომელიც ამზადებს არტილერისტი ოფიცრების მაღალკვალიფიციურ კადრებს.

მთელი თავისი სახელოვანი ისტორიის მანძილზე — ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელთა ბანდების წინააღმდეგ ბრძოლებში, მენშევიკთა ბატონობის წინააღმდეგ, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის გმირული ბრძოლის პერიოდში, დიდი სამამულო ომის წლებში სასწავლებლის ოფიცრები და კურსანტები, აღზრდილები ყოველთვის ერთგულნი იყვნენ თავიანთი მხედრული ვალისა, იჩენდნენ მაღალ საბრძოლო და მორალურ თვისებებს, ვაჟკაცობას, გმირობასა და სიმამაცეს, პატრიოტიზმსა და ინტერნაციონალიზმს. მთელი ხისრულით სასწავლებლის კურსდამთავრებულებმა ეს თვისებები გამოავლინეს დიდი სამამულო ომის წლებში. 44 მათგანს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ბევრმა განვლო სახელოვანი საბრძოლო გზა კურსანტიდან თვალსაჩინო მხედართმთავრამდე.

ჩვენს ხსოვნაში სამარადჟამოდ დამკვიდრა ადგილი სასწავლებლის კურსანტების, აღზრდილების გმირობამ, რომელიც მათ გამოიჩინეს სოციალისტური სამშობლოს მტრების წინააღმდეგ, ხალხის ბედნიერებისათვის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლებში.

ჩვენი დიადი სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული ჩინებულად განსწავლული ოფიცერთა კადრების მომზადებასა და საბჭოთა შეიარაღებული ძალების განმტკიცებაში თბილისის საარტილერიო სასწავლებლის დამსახურება აღენიშნა მთავრობის მაღალი ჯილდოებით. აქტიურად მონაწილეობს სასწავლებელი სამხედრო-პატრიოტულ მუშაობასა და მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებლის მთელ პირად შემადგენლობას უსურვებენ ახალ დიდ წარმატებებს მხედრული ოსტატობის დაუფლებაში, სასწავლო-აღმზრდელობითი, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სრულყოფაში, სამხედრო დისციპლინის შემდგომ განმტკიცებაში, და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ სასწავლებლის კომუნისტები, კურსანტები და ოფიცრები, მასწავლებელთა შემადგენლობა, ჯარისკაცები და სერჟანტები, მუშები და მოსამსახურეები გაამრავლებენ ამ სამხედრო სასწავლებლის სახელოვან საბრძოლო, ინტერნაციონალურ, შრომითი ტრადიციებს და კიდევ უფრო აამაღლებენ საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების დონეს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

დიდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ჭამიც შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

თბილისის 26 კომისრის სახელობის საარტილერიო უმაღლესი სამეთაურო წითელდროშოვანი სასწავლებლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სსრკ კავშირის შეიარაღებული ძალებისათვის ოფიცერ-არტილერისტთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში წარმატებების, საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის, მშრომელთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის და მე-60 წლისთავთან დაკავშირებით თბილისის 26 კომისრის სახელობის საარტილერიო უმაღლესი სამეთაურო წითელდროშოვანი სასწავლებელი დაჯილდოდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 11 ნოემბერი.

19 ნოემბერი სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღეა

დღესასწაულთან დაკავშირებით

საბჭოთა არმიის ცენტრალურ აკადემიურ თეატრში 18 ნოემბერს გაიმართა დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლებისა და მოსკოვის გარნიზონის მეომართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღეს.

კრებაზე გამოვიდა სტატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების მთავარსარდალი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე არმიის გენერალი ვ. თ. ტოლუბკო.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი. (საკდესი).

(დასასრული მე-4 გვ.)

გულითადი მადლობა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 63-ე წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ბევრი მისალმება და მილოცვა მშრომელების, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სანარმოების, დაწესებულებების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებისაგან, საბჭოთა არმისა და ფლოტის მეომრებისაგან.

მისასალმებელი წერილები კიდევ ერთხელ დამაჯერებლად მოწმობს საბჭოთა საზოგადოების მაღალ მორალურ-პოლიტიკურ შეკავშირებას, რეალური სოციალიზმის დიად ცხოველმყოფელ ძალას. ისინი მკაფიოდ გამოხატავენ საბჭოთა ადამიანების სიამაყეს ოქტომბრის სამშობლოს ისტორიული მიღწევებისათვის, მათს ოპტიმიზმს, თავიანთი ძალების რწმენას, იმას, რომ მათ სწორად ესმით ამჟამად ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანები, მზად არიან ამრავლონ შემოქმედებითი მეცადინეობა ხალხის ბედნიერებისათვის, კომუნიზმისა და ქვეყნად მტკიცე მშვიდობისათვის.

მისასალმებელ წერილებში სავსებით უჭერენ მხარს და იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მრავალმხრივ და მიზანმიმართულ საქმიანობას საბჭოთის ყოველმხრივი პროგრესის უზრუნველყოფისათვის, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ჰუმანური საქმის ნინსვლისათვის.

სანარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების კოლექტივებმა, რომლებიც დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით ავლენენ ერთგულებას თავისი პარტიული და მოქალაქეობრივი მოვალეობისადმი, საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება გაშალეს დევიზით „ხუთწლედს დამკვრელური ფინიში. სკკპ XXVI ყრილობას — ღირსეული შეხვედრა!“. ბევრი მათგანი მისასალმებელ წერილებში უპატაკებს სამშობლოს, პარტიას თავისი შრომის შესანიშნავ შედეგებს — მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებს. ეს არის რეალური წვლილი ჩვენი ხალხის კეთილდღეობის ყოველმხრივი გაუმჯობესების, საბჭოთა ადამიანის ცხოვრების მატერიალური და სულიერი დონის ამაღლების საქმეში. ეს არის ჩვენი დღევანდელი და მომავალი წარმატებების სანინდარი. იგი ავლენს საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმს, მათს მისწრაფებას — შეხვდნენ მშობლიური პარტიის ყრილობას ახალი შრომითი გამარჯვებებით.

მისალოცი წერილები გამოგზავნეს აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელებმა, საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტურმა, მუშათა, რევოლუციურ-დემოკრატიულმა პარტიებმა, მოვაჭრობებმა, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებმა, ცალკეულმა მოქალაქეებმა.

ჩვენი მეგობრები აღნიშნავენ, რომ უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებებს, რომელიც გულდაჯერებით მიდის ოქტომბრის გზით, აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირი თვალსაჩინო როლს ასრულებს მსოფლიოს ხალხთა რევოლუციური, განმათავისუფლებელი ბრძოლის განვითარებასა და გამარჯვებებში. ულოცავენ რა საბჭოთა ადამიანებს დღესასწაულს, ისინი მხურვალე სოლიდარობას უცხადებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის აქტიურ და თანამიმდევრულ კურსს, რომელიც მიმართულია გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, მიზნად ისახავს დაძაბულობის შენელებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას, პლანეტის ყველა ხალხის მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების დაცვას. წერილებში აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირის ინტერნაციონალისტური მშვიდობისმოყვარული ლენინური პოლიტიკა მშვიდობის, ხალხთა მეგობრობისა და სოციალური პროგრესისათვის, იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ თანამედროვეობის მთელი პროგრესული ძალების წარმატებული ბრძოლის მძლავრი ბურჯია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითად მადლობას უძღვნიან ყველა პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, სანარმოების, მშენებლობების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებს, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებს, სოციალისტური ქვეყნების ხელმძღვანელებს, საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტურ, მუშათა და რევოლუციურ-დემოკრატიულ პარტიებს, მთავრობებს, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, დემოკრატიულ ორგანიზაციებს, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეებს დიდი ოქტომბრის 63-ე წლისთავის გამო მოლოცვისა და კეთილი სურვილებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი	სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი	სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარის, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის სამორა მოიზეს მაშელის ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ

იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში დამსახურებისათვის, საბჭოთა კავშირ-მოზამბიკის თანამშრომლობის განვითარებასა და საბჭოთა კავშირისა და მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში დიდი წვლილისათვის დაჯილდოდეს ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარე, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი სამორა მოიზეს **მაშელი ხალხთა მეგობრობის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 17 ნოემბერი.

ავანგარდშია მშრომელი მოსკოვი

დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს მოსკოველებმა: შესრულდა მეათე ხუთწლედის დავალებები. დედაქალაქის მშრომელებს დიდი მოლოდინები ამართლეს ამ ხანგრძლივ ლ. ი. ბრეჟნევის. 17 ნოემბერს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა მოსკოვის შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა მიტინგი.

მეტყველი ტაშით შეხვდნენ მიტინგის მონაწილეები ლ. ი. ბრეჟნევის მისალმებას, რომელიც წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ვ. გრიშინმა.

მიტინგის მონაწილეების, დედაქალაქის ყველა მშრომელის სახელით ვ. ვ. გრიშინმა დიდი და გულითადი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მილოცვისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებების შესრულებისა და პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში მოსკოველების შრომითი წვლილის მაღალი შეფასებისათვის.

მიტინგზე გამოსულებმა ილაპარაკეს იმ დიდ პოლიტიკურ და შრომის აღმავლობაზე, რომლითაც მოსკოველები ხვდებიან პარტიის XXV ყრილობას. (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

რეცა სუსტდება ხელმძღვანელობა რაიონის ეკონომიკისა და კულტურისადმი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ამბროლაურის რაიონიდან მიღებული საჩივრებისა და განცხადებების კომპლექსური შემოწმების შედეგების საკითხი.

გამოტანილ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ პარტიის ამბროლაურის რაიკომმა, რაიონის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ყრილობების შემდეგ მიღებული პარტიული დოკუმენტების მოთხოვნებს. გარკვეული წარმატებანი მოიპოვეს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. 1978-1979 წლებში რაიონმა შეასრულა სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის, კაპიტალური მშენებლობის, სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, ყურძნისა და ზოგიერთი სხვა სოფლის მეურნეობის პროდუქტის მიყიდვის საგეგმო დავალებანი. რაიონის ცხოვრების ყველა მხარეზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 11 მაისის დადგენილებამ „ამბროლაურის რაიონის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

ამავე დროს, როგორც რაიონიდან მიღებული მრავალი წერილისა და განცხადების კომპლექსურმა შემოწმებამ ცხადყო, ამბროლაურის რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ტემპი საკმარისი არ არის. ყოველთვის წარმატებით ვერ ძლევენ მთიანი რეგიონის სპეციფიკით გამოწვეულ სიძნელეებს. მთლიანად როდია ამოქმედებული საზოგადოებრივ მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ამაღლების შინაგანი რეზერვები. დაბალია მიწის, ტექნიკის, სავარგულების გამოყენების ეფექტიანობა, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურა.

ამის შედეგად კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა თავი ვერ გაართვეს ყურძნის, ხორცის, რძის, კვერცხის წარმოების მიმდინარე ხუთწლედის ოთხი წლის გეგმებს, ვერ შეძლეს მთლიანად გაენაღდებინათ სახელმწიფოსათვის ვერც ერთი სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის დავალებანი. 1975 წელთან შედარებით

(დასასრული მე-8 გვ.)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

ამბროლაურის რაიონის ეკონომიკისა და კულტურის ზოგიერთი საკითხი

ამბროლაურის რაიონი ერთ-ერთია ჩვენ ქვეყანაში, ბუნებრივ-ეკონომიკური ნინაპირობებით, ბუნებრივ-ეკონომიკური ადგილმდებარეობით, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ინფრასტრუქტურის ფარგლებში. ეს ადგილი ეკონომიკურ-ეკონომიკურ ადგილმდებარეობა,

მეგობრულ ვითარებაში

პარტიულ მუშაკთა სამაგიდო წიგნი

საქართველოს კომუნისტები დიდი ინტერესით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. უ. ჩერნენკოს წიგნის „პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის საკითხების“ გამოსვლას. მალე რესპუბლიკის მკითხველები მშობლიურ ენაზე მიიღებენ ამ წიგნს, რომელსაც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ უშვებს.

რით არის გამოწვეული ასეთი დიდი ინტერესი კ. უ. ჩერნენკოს წიგნისადმი? წიგნს წითელ ზოლად გასდევს აზრი, რომ საჭიროა პარტიულ და სახელმწიფო აპარატში მუშაობის ლენინური სტილის დაუფლება, დიდი ადგილი ეთმობა პოზიტიურ ძვრებს, რომლებიც პარტიული მუშაობის სრულყოფაში, პარტიული და სახელმწიფო აპარატის საქმიანობის გაუმჯობესებაში მოხდა მას შემდეგ, რაც მიიღეს ჩვენი რესპუბლიკისა და მისი კომუნისტური პარტიისათვის ისტორიული დადგენილება — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ. ამ წიგნის, მასში ჩამოყალიბებული დასკვნებისა და რეკომენდაციების შესახებ ილაპარაკა თავის ლექციაში პროფესორმა გ. ყვანია თბილისის ოქტომბრის რაიონის პარტიული აქტივის წინაშე. ლექცია მოაწყვეს წიგნის მოყვარულთა რესპუბლიკური საზოგადოების გამგეობამ და პარტიის ოქტომბრის რაიკომმა.

ლექცია-მიმოხილვის განხილვის დროს გამოვიდნენ პარტიის ოქტომბრის რაიკომის მეორე მდივანი ვ. იანკოვსკაია, წიგნის მოყვარულთა რესპუბლიკური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. კაკაბაძე და სხვები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ წიგნი აქტუალური და სასარგებლოა.

(საქინფორმი).

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის სიმპოზიუმი თბილისში

„საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობა და აზიაში მშვიდობისა და უშიშროების პრობლემები“ — ასეთია საბჭოთა კავშირ-ინდოეთის სიმპოზიუმის თემა, რომელიც 18 ნოემბერს გაიხსნა საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში.

მის მუშაობაში მონაწილეობენ ცნობილი საბჭოთა და ინდიელი მეცნიერები. სამი დღის განმავლობაში მათ უნდა განიხილონ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის განვითარებასა და აზიის კონტინენტსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებაზე მის ზეგავლენასთან დაკავშირებული ბევრი საკითხი. განიხილავენ აგრეთვე მიუმხრობლობის მოძრაობის პრობლემებს, როგორც მშვიდობის შენარჩუნებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების განმტკიცების დიდმნიშვნელოვან ფაქტორს.

სიმპოზიუმი გახსნა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა გ. შიროკოვმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მთავრობის სახელით მეცნიერთა შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით სიმპოზიუმის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ფრანგიშვილი.

სიმპოზიუმის მონაწილეებს მიესალმა აგრეთვე საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მელაძე.

საბჭოთა კავშირ-ინდოეთის მეგობრობის საზოგადოების აღმასკომის სახელით სიმპოზიუმის მონაწილეებს მიესალმა საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის განყოფილების გამგე პროფესორი გ. კოტოვსკი.

სიმპოზიუმის პირველი სხდომა მიეძღვნა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობის საერთაშორისო მნიშვნელობას.

მოხსენება „მშვიდობისა და დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლის საბჭოთა პროგრამა“ გააკეთა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგემ პროფესორმა ლ. ალექსიძემ.

პროფესორმა გ. კოტოვსკიმ გააკეთა მოხსენება თემაზე: „საბჭოთა კავშირ-ინდოეთის თანამშრომლობა, როგორც საერთაშორისო ვითარების სტაბილიზაციის ფაქტორი აზიაში“.

მშვიდობისა და უშიშროების პროგრამას მიუძღვნა თავისი მოხსენება ტ. ნ. კაულმა.

შემდეგ გაიმართა მოხსენებათა განხილვა.

● ●

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების შენობაში გაიმართა საბჭოთა კავშირ-ინდოეთის სიმპოზიუმის მონაწილეებს შეხვედრა საზოგადოების აქტივისტებთან.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ 17 ნოემბერს კრემლის დიდ სასახლეში გამართეს სადილი ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარის, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის სამორა მოიზეს მაშელის პატივსაცემად.

ს. მაშელთან ერთად იყვნენ მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის წევრები, რომელსაც იგი მეთაურობს.

საბჭოთა კავშირის მხრიდან სადილად იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სხვა ოფიციალური პირნი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა სადილზე წარმოთქვა სიტყვა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

პატივცემულო ამხანაგო სამორა მაშელ!

ძვირფასო მეგობრებო!

ამხანაგებო!

გულთბილად მივესალმები მოზამბიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციას ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარის, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის ამხანაგ მაშელის მეთაურობით.

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ მოზამბიკის მამაცი ხალხისა და მისი მებრძოლი ავანგარდის — ფრელიმოს პარტიის საპატიო წარმომადგენელთა ვიზიტს მოსკოვში.

ეს ვიზიტი ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ განუხრელად მტკიცდება ჩვენი ხალხების და ქვეყნების მეგობრობა. მეგობრობა, რომელიც იშვა და გამოიწრთო ხუთასი წლის კოლონიური უღლისაგან მოზამბიკის განთავისუფლებისათვის ბრძოლის წლებში. მეგობრობა, რომელიც დღითიდღე მტკიცდება ახლა, როცა მოზამბიკის ხალხი თავისი პარტიის ხელმძღვანელობით მიდის ღრმა სოციალურ და პოლიტიკურ გარდაქმნათა გზით, იცავს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის იდეალებს.

დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირ-მოზამბიკის ურთიერთობას დიდი მომავალი აქვს. მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მყარ საფუძველზე ფართოვდება და ღრმავდება სსრ კავშირისა და მოზამბიკის ორმხრივი ურთიერთობა სხვადასხვა დარგში. ნაყოფიერად ვითარდება ჩვენი პარტიების — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ფრელიმოს კონტაქტები.

საერთაშორისო ცხოვრებაშიც ჩვენ ვმოქმედებთ როგორც ერთგული თანამოსაგრენი მშვიდობისათვის, ხალხთა ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში. ორივე ჩვენი ქვეყანა გადაჭრით ილაშქრებს ჩაგვრის, ექსპლოატაციის, ხალხთა სუვერენული უფლებების ფეხქვეშ გათელვის, იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, მილიტარიზმისა და დიქტატის პოლიტიკის წინააღმდეგ.

მთელმა პროგრესულმა აფრიკამ იცის, თუ რა პოზიტიური წვლილი შეაქვს მოზამბიკს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა სოლიდარობის განმტკიცებაში, რა მხარდაჭერას უწევს იგი თავისი აფრიკელი ძმების ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას.

თავის მხრივ, საბჭოთა კავშირი უცვლელად და თანამიმდევრულად იღვწის იმისათვის, რომ აფრიკელი ხალხები თვითონვე განაგებდნენ თავიანთ ბედ-იღბალს და თვითონ, გარედან ჩაურევლად, განსაზღვრავდნენ თავიანთი განვითარების გზებს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ყველა ხალხის მისწრაფებას, — უსწრაფესად აღმოფხვრან კოლონიური წარსულის მძიმე მემკვიდრეობა.

წლიულს 20 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო ისტორიული დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ. იგი მიიღეს საბჭოთა კავშირის, სხვა სოციალისტური სახელმწიფოებისა და აფრიკის მთელი რიგი ქვეყნების ინიციატივით. განვლილი ორი ათწლეულის მანძილზე ბევრი რამის მიღწევა მოხერხდა. ახლა დამოუკიდებელია თითქმის მთელი აფრიკა. მარტო კონტინენტის სამხრეთში არის ჯერ კიდევ კოლონიალიზმისა და რასიზმის პლაცდარში — თავისებური ანაქრონიზმი თანამედროვე ისტორიულ პირობებში, მაგრამ აგრესიული და სახიფათო ანაქრონიზმი.

დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და სოციალური პროგრესისათვის ყველა კონტინენტის ხალხთა ბრძოლის პერსპექტივები ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი საერთაშორისო ვითარება მყარდება მთლიანად. სამწუხაროდ, იგი მნიშვნელოვნად გართულდა, იმპერიალიზმი სულ უფრო და უფრო ცდილობს უკუღმა შემოაბრუნოს მსოფლიო განვითარების ობიექტური მსვლელობა, ხელი შეუშალოს ხალხთა მისწრაფებას თავისუფლებისა და პროგრესისადმი.

ეს სახიფათო ტენდენციაა. სანამ გვიანი არ არის, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებმა უნდა გაერთიანონ თავიანთი მეცადინეობა, რათა თავიდან ააცილონ მსოფლიოს საბედისწერო ზღვარისაკენ დაქანება, ბოლო მოუღონ გამალებულ შეიარაღებას, საიმედოდ უზრუნველყონ ხალხთა უშიშროება.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ჩვენი პოზიცია მკაფიოა და კარგად არის ცნობილი, ჩვენ ვემხრობით დაძაბულობის შენელების შენარჩუნებას, მის გაღრმავებას, სახელმწიფოთა მშვიდობიან თანასწორუფლებიან თანამშრომლობას. ჩვენ არავის ვემუქრებით, არ ვერევით და არც ვაპირებთ ჩაერიოთ სხვა ქვეყნებისა და ხალხების საქმეებში. და გვსურს, რომ სხვა სახელმწიფოებიც ასევე იქცეოდნენ, ჩვენ იმის მომხრენი ვართ, რომ ამოქმედდეს საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი და სამართლიანი მოწესრიგების ყველა მექანიზმი.

საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებაში, რა თქმა უნდა, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციაზე. ახლა იქ ახალი პრეზიდენტი აირჩიეს. არ შევეხები იმას, რაც მას, მის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს უთქვამთ წინა საარჩევნო ბრძოლის ქარცეცხლში. შემიძლია მხოლოდ სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ყოველ კონსტრუქციულ ნაბიჯს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობისა და საარსებო მსოფლიო პრობლემების დარგში პოზიტიური რეაგირება მოჰყვება ჩვენი მხრივ.

ჩვენი ხალხი თავისი კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას მომავლის რწმენით ეგებება. ჩვენ ვ. ი. ლენინის ანდერძის ერთგულნი ვართ, და კვლავაც შეუპოვრად დავიცავთ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საქმეს, განვამტკიცებთ კავშირს მთელი მსოფლიოს პროგრესულ ძალებთან, სოლიდარობას ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლასთან.

და ამ თვალსაზრისით განზრახული გვაქვს ყოველნაირად განვითაროთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ფრელიმოს, საბჭოთა კავშირისა და მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობა და თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნების ხალხთა ინტერესებისათვის, თავისუფლებისა და პროგრესის კეთილშობილური იდეალების გამარჯვებისათვის.

გთავაზობთ სადღეგრძელოს:

ჯანმრთელობას ვუსურვებ ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარეს, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს, დამოუკიდებელი აფრიკის თვალსაჩინო მოღვაწეს ამხანაგ სამორა მაშელსა და ყველა ჩვენს მოზამბიკელ სტუმარს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-მოზამბიკის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას!

გაუმარჯოს მშვიდობის, ხალხთა ეროვნული და სოციალური განთავისუფლების საქმეს!

●

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ს. მაშელმა.

ამხანაგ ს. მაშელის სიტყვა

ძვირფასო და პატივცემულო ამხანაგო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურო მდივანო, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეო!

პატივცემულო ამხანაგო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებო!

პატივცემულო ამხანაგებო და მეგობრებო!

დიდი სიხარულით ვიმყოფებით მოსკოვში იმ წელიწადს, როცა აღინიშნა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი, და რამდენიმე დღის მერე მას შემდეგ, რაც ყველამ ვიდღესასწაულეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის კიდევ ერთი წლისთავი. დროის შუალედი, რომელიც გვაშორებს კრეისერ „ავრორას“ ძლევამოსილ ზალპებს, ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი გახდა კაცობრობის პროგრესში.

1917 წელს, რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად, წარმოიშვა მსოფლიოში პირველი კაცობრიობის განთავისუფლებული ზონა. ამ, იმხანად სუსტმა, ყოველი მხრიდან გარშემორტყმულმა და თავდასხმების ობიექტად ქცეულმა ზონამ შეძლო გმირულად დაეცვა თავი და განვითარებულიყო ლენინის პარტიის სწორი პოლიტიკის, საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიანობისა და მსოფლიო პროლეტარიატის სოლიდარობის წყალობით.

თქვენმა გმირმა ხალხმა, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია წინამძღოლობს, გადალახა ყველა სიძნელე, შემუსრა ნაციზმი, უზრუნველყო საბჭოთა კავშირის აყვავება, მხარი დაუჭირა ჩაგრული ხალხების განმათავისუფლებელ ბრძოლას.

ოქტომბრის შემდეგ განვლილი 60 წლის მანძილზე რეალური სოციალიზმი განმტკიცდა სამ კონტინენტზე და დღეს მკვიდრდება მეოთხე კონტინენტზე, აფრიკაში. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ისტორია მტკიცედ მიაბიჯებს წინ და რომ მთელი მსოფლიოს ხალხთა და მშრომელთა სიმედგრის წინაშე იმპერიალიზმი და ომები იძულებული არიან უკან დაიხიონ. იმარჯვებს მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობის, პროგრესის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმე.

ვიეტნამმა, ლაოსმა, კამპუჩიამ მოიპოვეს თავისუფლება და განმტკიცდნენ აგრესიული ძალების ხრიკების მიუხედავად. გაძლო ავღანეთის რევოლუციამ, გაიმარჯვეს ნიკარაგუელმა პატრიოტებმა. თავისუფლება ეღირსა ზიმბაბვესაც. სალვადორში, ნამიბიაში, პალესტინაში, დასავლეთ სპარაში, აღმოსავლეთ ტიმორში, სამხრეთ აფრიკაში ხალხთა ბრძოლა მძლავრ დარტყმებს აყენებს კოლონიალიზმსა და რასიზმს, ფაშიზმსა და ტირანიას.

დღევანდელი ცდები: რომ აღადგინონ „ცივი ომი“, კიდევ უფრო დააჩქარონ გამალებული შეიარაღება, ძალის დემონსტრაციით დააშინონ ხალხები, განწირულია ჩასაფშვნელად. ეს იმპერიალიზმის ძველი და ცნობილი ტაქტიკაა, რომელიც ვერავის მოატყუებს. ხალხები მას კიდევ უფრო ძლიერ წინააღმდეგობას ვაუწევენ. ამას მოწმობს ოლიმპიური ასპარეზობის წარმატება მოსკოვში, სადაც ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი თითქმის ყველა ქვეყნის სპორტსმენები, და სადაც ბოიკოტის მოწყობის სამარცხვინო ცდების მიუხედავად, მიღწეულ იქნა მთელი ოლიმპიური ისტორიის მანძილზე საუკეთესო სპორტული შედეგები.

ძვირფასო ამხანაგო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევ!

ჩვენმა რევოლუციამ გაიმარჯვა, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო დღითი დღე მტკიცდება დედამიწის იმ რაიონში, სადაც იმპერიალიზმი განსაკუთრებით აგრესიულია, სადაც გადის საზღვარი ფაშიზმთან და აპარტეიდთან.

ისევე როგორც თქვენს ისტორიაში, ჩვენი გამარჯვების წყაროებია ხალხისა და მშრომელთა გმირობა, ჩვენი პარტიის პოლიტიკური გეზის სისწორე და საერთაშორისო სოლიდარობის დიადი ძალა.

ჩვენი მარქსისტულ-ლენინური პარტია უცხოელი ოკუპანტების წინააღმდეგ სახალხო ომში იშვა. იგი იშვა კლასობრივი ბრძოლის ქარცეცხლში, რომელიც გაჩაღდა მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის შიგნით, განთავისუფლებულ რაიონებში, შინაური რეაქციისა და ახალი ექსპლოატატორების წინააღმდეგ ბრძოლაში, ამ ხანგრძლივი და რთული პროცესის მანძილზე აღიზარდა და გამოიწრთო ათიათასობით მებრძოლი, რომლებმაც 1977 წელს შექმნეს მარქსისტულ-ლენინური პარტია, ფრელიმოს პარტია.

სოციალისტურ გარდაქმნათა პროცესი ვლინდება ჩვენი ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში. მას ცხადყოფს სახალხო ასამბლეათა მუშაობა, რომელთა მეშვეობით მუშათა კლასი და მისი ძირითადი მოკავშირე — გლეხობა ახორციელებენ თავიანთ ხელისუფლებას საზოგადოებაში. მას ცხადყოფს ჩვენ მიერ სოფლის კოლექტივიზაციაში უკვე მიღწეული წარმატებები, სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა და კოოპერატივთა შექმნა-განვითარება, მიწის სოციალისტურ საკუთრებაზე დაფუძნებული კოლექტიური სოფლების მშენებლობა. ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, მრეწველობის ძირითადი დარგების, საგარეო ვაჭრობის, შახტების, მიწის, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სისტემის ნაციონალიზაცია — ყოველივე ამან საფუძველი შეუქმნა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას.

დღეს ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს ხალხს იერიში მიაქვს ახალ ათწლეულზე, რომლის დროსაც უნდა დავძლიოთ სუსტი განვითარება, ბოლო მოვუღოთ შიმშილს, სიღატაკეს, სნეულებებს, უმეცრებასა და უწიგნურობას; ათწლეულზე, რომლის დროსაც დავამთავრებთ სოფლის კოლექტივიზაციას, ნაწილობრივ მექანიზებულს გავხდით ჩვენს სოფლის მეურნეობას და საძირკველს ჩავუყრით თანამედროვე მრეწველობას.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებსა და პრაქტიკას, რომელიც ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკური გეზის განუყოფელი ნაწილია. ჩვენ უცვლელად ვუჭერთ მხარს სოციალისტური ქვეყნების, ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლ ე ბ ე ლ ი და სოციალური მოძრაობის ბუნებრივი კავშირის განმტკიცებას. კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასთან, დემოკრატიულ ძალებთან. როგორც მეგობრობელი ქვეყანა, ჩვენ კვლავაც ხელს შევუწყობთ მიუმხრობლობის მოძრაობის ანტიიმპერიალისტური და მშვიდობისმოყვარული შინაარსის განმტკიცებას.

ჩვენი ინტერნაციონალ ი ზ მ ი ვლინდება აგრეთვე მხარდაჭერით, რომელსაც ვუწევთ ჩაგრული ხალხების განთავისუფლების საქმეს. ჩვენ ვსოლიდარობთ იმათ, ვინც იბრძვის თავისი განთავისუფლებისათვის, ვინც იგერიებს იმპერიალიზმისა და რეაქციის აგრესიას. მოზამბიკელი მოხალისე-ინტერნაციონალისტები იბრძოდნენ ზიმბაბვეში, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო ამ ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საიმედო ზურგი იყო.

ძვირფასო ამხანაგებო!

სხვა მომძე სოციალისტურ სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობა განვითარების დაჩქარებისათვის ბრძოლაში ჩვენი მარჯვების საწინდარია, ერთობლივ ვუზამებთ რა ერთობლივ სხვადასხვაგვარ რესურსებს, შესაძლებლობა გვაქვს განვვითარდეთ, განვამტკიცოთ ჩვენი ეკონომიკა, მივიღოთ ურთიერთსარგებლობა და, ამგვარად, წინააღვუდგეთ იმპერიალიზმის ეკონომიკურ და პოლიტიკურ შანტაჟს.

ეროვნული განთავისუფლებისათვის მოზამბიკელი ხალხის შეიარაღებული ბრძოლის დროიდან ჩვენსა და საბჭოთა კავშირს შორის მტკიცე თანამშრომლობა დამყარდა. ჩვენი სახელმწიფოებს მიერ 1977 წელს დადებული მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე ჩვენი თანამშრომლობის განვითარება-განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია.

განვითარებული სოციალისტური სახელმწიფოებისა და განვითარებადი ეკონომიკის მქონე სოციალისტური სახელმწიფოების თანამშრომლობას ოთხ კონტინენტზე სოციალიზმის პოზიციათა განმტკიცების გადამწყვეტ ფაქტორად მივიჩნევთ.

ძვირფასო ამხანაგებო!

ზიმბაბვეს ხალხის გამარჯვება კოლონიალიზმსა და რასიზმზე, მის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება და პირველი თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების შედეგად პრემიერ-მინისტრ რობერტ მუგაბეს მეთაურობით შექმნილი მთავრობის გახელისუფლება უმნიშვნელოვანესი მოვლენებია აფრიკისა და მთელი პროგრესული კაცობრობისათვის. ზიმბაბვეში მიღწეულმა გამარჯვებამ სამხრეთ აფრიკაში შექმნა მშვიდობისა და თანამშრომლობის ახალი პერსპექტივები. იგი ფასდაუდებელი სტიმულია ნამიბიისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის განთავისუფლებისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად, გადამწყვეტი იმპულსია რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევისათვის ბრძოლაში.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხალხი აფრიკელთა ეროვნული კონგრესის ხელმძღვანელობით მძლავრ დარტყმებს აყენებს აპარტეიდის რეჟიმს, თავს არ აბეზარებენებს ფსევდორეფორმებს.

გადამწყვეტ ფაზაში შევიდა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ნამიბიის განთავისუფლებისათვის ბრძოლა. ჩაიფუშება რასისტთა აგრესიები ანგოლისა და ზამბიის წინააღმდეგ. მანეკენი მარიონეტების წამოსასკუპებლად.

დიდი შეშფოთებით ვადევნებთ თვალს ერაყისა და ირანის შეიარაღებული კონფლიქტის განვითარებას. ეს კონფლიქტი მთელი პროგრესული და მშვიდობისმოყვარე ძალებისაგან მოითხოვს გახახორციელონ საერო ღონისძიებანი ცეცხლის დაუყოვნებელი შეწყვეტის მიღწევისა და მისი გამომწვევი პრობლემის მშვიდობიანი პოლიტიკური გადაწყვეტის მიზნით. ერაყისა და ირანის ომს იმპერიალისტური ძალები, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატები, იყენებენ ინდოეთის ოკეანეში თავიანთი ბაზების განმტკიცებისა და ფლოტების გაძლიერებისათვის, რაც ხელს უშლის ამ ოკეანის გადაქცევას ბირთვული იარაღისაგან თავისუფალ მშვიდობის ზონად.

სპარსეთის ყურის რაიონში იმპერიალისტების სამხედრო ჩარევის საფრთხე, სიონისტური რეჟიმის აგრესიული ექსპანსია, კემპ-დევიდის ხელშეკრულებანი ეს მიმართულია პალესტინის ხალხის, ყველა ხალხის, და მთლიანად ეროვნული-განმათავისუფლებელი ბრძოლის წინააღმდეგ.

ამგვარად, საერთაშორისო ურთიერთობაში, მშვიდობისა და დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლა კაცობრიობის მთელი რევოლუციური და პროგრესული ძალების ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ამოცანა ხდება.

ძვირფასო ამხანაგო ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევ!

მოღელვარების გრძნობით გიხდით მადლობას ძმური და გულთბილი მასპინძლობისათვის, რომელიც გაგვიწიეს საბჭოთა კავშირის მშვენიერ და სახელოვან დედაქალაქში ჩვენი ჩამოსვლის წუთიდან. აქ ჩვენ თავს ისე ვგრძნობთ, თითქოს შინ ვიყოთ, ამხანაგებს შორის, რევოლუციისათვის მებრძოლთა ერთიან მშკრივში, დიდი სოციალისტური ოჯახის წევრთა შორის.

გულთბილად მივესალმებით ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელს, რომელსაც სოციალიზმის სამშოლო მიჰყავს ახალი გამარჯვებისაკენ კომუნიზმის მშენებლობის გზაზე — კაცობრიობის უმაღლესი მიზნისაკენ.

ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახით ჩვენ მივესალმებით გამოჩენილ რევოლუციონერ ხელმძღვანელს, მივესალმებით ინტერნაციონალისტს, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა მშვიდობისათვის, ხალხთა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის, ქვეყნად პროგრესისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის განვითარებაში. და, ბოლოს, ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახით ჩვენ მივესალმებით მოზამბიკელი ხალხის მეგობარს, ამხანაგს, რომელიც განსასახიერებს სოლიდარობას, რასაც ჩვენ მიმართ იჩენენ მთელი საბჭოთა ხალხი და, კერძოდ, საბჭოთა ინტერნაციონალისტები, რომლებიც ჩვენთან ერთად არიან, ხშირად ძნელ პირობებში გვეხმარებიან ჩვენი მოზამბიკის სოციალისტური სამშობლოს მშენებლობაში.

გთხოვთ ჩვენთან ერთად აღეგრძელოთ:

ამხანაგი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ხელმძღვანელი!

გაუმარჯოს ფრელიმოს პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძმურ ურთიერთობას!

გაუმარჯოს მოზამბიკელი და საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობას!

დაე, ვითარდებოდეს ჩვენი სახელმწიფოების მეგობრობა და თანამშრომლობა!

გაუმარჯოს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს!

გაუმარჯოს მშვიდობასა და სოციალიზმს!

ბრძოლა გრძელდება!

●

ლ. ი. ბრეჟნევისა და ს. მაშელის სიტყვები მოისმინეს დიდი ყურადღებით და ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

სურათზე: დოკუმენტების ხელმოწერა.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-მოზამბიკის დოკუმენტებს

18 ნოემბერს კრემლში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-მოზამბიკის დოკუმენტებს.

საბჭოთა კავშირ-მოზამბიკის ერთობლივ განცხადებას ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარემ, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ს. მ. მაშელმა.

შეთანხმებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ფრელიმოს პარტიის თანამშრომლობის შესახებ ხელი მოაწერეს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ს. მ. მაშელმა.

ხელი მოაწერეს აგრეთვე ოქმს სსრ კავშირისა და მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის 1981-1982 წლების კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის შესახებ. მას ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ და ფრელიმოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი პოლიტიკური კომიტეტის წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟ. ჩისანომ.

დოკუმენტების ხელმოწერას დესწრნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — ამხანაგები ვ. ვ. გრიშინი, ა. პ. კირილენკო, მ. ა. სუსლოვი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგიხი, მ. ვ. ზიმიანინი, კ. ვ. რუსაკოვი, სხვა ოფიციალური პირნი;

მოზამბიკის მხრივ — მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის წევრები. (საკდესი).

ამხანაგ ს. მაშელს საბჭოთა ჯილდო გადაეცა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა 18 ნოემბერს კრემლში ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარეს, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს სამორა მოიზეს მაშელს გადასცა ხალხთა მეგობრობის ორდენი.

ჯილდოს გადაცემას დესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები, სხვა ოფიციალური პირნი.

მოზამბიკის მხრივ იყვნენ ს. მაშელის მეთაურობით ჩამოსული მოზამბიკის ს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

როცა სუსტდება ხელმძღვანელობა რაიონის ეკონომიკისა და კულტურისადმი

(დასასრული)

შემცირდა ხილის, მარცვლეულის მოსავლიანობა, რძის საშუალო ნაწველი, კვერცხისმდებლობა, ძირთადი სახეობათა საკვების წარმოება. გაუარესდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ბევრი მაჩვენებელი 1980 წელსაც.

რაიონში შეიმჩნევა სოფლის მეურნეობის პროდუქციის თვითღირებულების მნიშვნელოვანი ზრდის, საზოგადოებრივ მეურნეობათა ზარალიანობის გადიდების ტენდენცია. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაბალია შრომის დისციპლინა, ხშირია მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის წესების დარღვევის შემთხვევები. ბევრად მცირეა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება საშუალო რესპუბლიკურ დონესთან შედარებით.

აღნიშნული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად განაპირობა ეკონომიკისადმი სუსტმა ხელმძღვანელობამ, პარტიის რაიკომის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების სეროიზულმა ხარვეზებმა ორგანიზაციულ-პარტიულ და იდეურ-აღმზრდელობითს შუშაობაში. პარტიის რაიკომი ყოველთვის სუსტად როდი ხელმძღვანელობს პრაქტიკაში კადრების შერჩევისა და განაწილების ლენინური პრინციპებით, უშვებს შეცდომებსა და დარღვევებს ხელმძღვანელ და მატერიალურად პასუხსაგებ თანამდებობებზე პირთა დანიშვნის დროს. თუმცა რაიონში არის გარკვეული ობიექტური სიძნელეები კადრების შერჩევაში, მაგრამ ნაჩქარევი, არამომზოვნელი მიდგომა ადამიანთა შესწავლისადმი, მისწრაფება როგორმე შეავსონ ვაკანტური თანამდებობა, უარყოფითს გავლენას ახდენს საქმის ინტერესებზე.

ეს კი იწვევს სამეურნეო ხელმძღვანელების ხშირ შეცვლას, ნომენკლატურულ თანამდებობებზე უღირსი პირების დანიშვნას. მაგალითად, 1975 წელს სოფელ ჭელიაღელის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ რეკომენდებული იყო ვ. ტურძილაძე, რომელიც წარსულში ორჯერ იყო გათვისუფლებული ანალოგიური თანამდებობიდან მუშაობაში არაკომპეტენტურობისათვის, სეროზული ხარვეზებისა და შეცდომებისათვის. 1978 წელს იგი კვლავ გადააყენეს თავმჯდომარის თანამდებობიდან წვენების წარმოების დამხმარე საამქროში უხეში დარღვევებისა და ბოროტმოქმედებისათვის. პარტიის რაიკომმა მის ნაცვლად გამგეობას ურჩია აერჩიათ ვ. დვალი, რომელიც მეზობელი კოლმეურნეობის თავმჯდომარის პოსტიდან წინათ მოხსნილი იყო მიწათსარგებლობის წესების უხეში დარღვევისათვის. ერთი წლის შემდეგ მუშაობის ჩაშლისათვის იძულებული გახდნენ ისიც გაეთავისუფლებინათ. ნდობა ვერ გაამართლა რაიკომის რეკომენდაციით ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ 1979 წლის სექტემბერში არჩეულმა ე. ენუქიძემ, რომელმაც თავისი საქმიანობის დასაწყისში დაუშვა სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევები, თვალის ახვევისა და წამატებების, საკოლმეურნეო დოვლათის განიავების ფაქტები. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის, რომ პარტიის რაიკომი უპრინციპოდ, უსისტემოდ, განურჩევლად და ზერელედ უდგება საკადრო საკითხების გადაწყვეტას, ცდილობს გვერდი აუაროს მწვავე საკითხებს მას შემდეგაც, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ სეროიზულად გააფრთხილა რაიონული კომიტეტი, როცა 1978 წლის მარტში განიხილა საკითხი „რესპუბლიკაში ხილეკონერის წვენების, ღვინის მასალებისა და ღვინოების წარმოებასა და რეალიზაციაში უხეში დარღვევების ფაქტების შესახებ". მაგალითად, 1978 წლის მარტში პარტიის რაიკომის ბიურომ სოფელ ჭელიაღელის კოლმეურნეობის გამგეობას ურჩია საშუაოდან მოეხსნა კოლმეურნეობის წვენების საამქროს უფროსი „დ. ჯაფარიძე, რომელსაც საეჭვო რეპუტაცია ჰქონდა, მაგრამ სამი თვის შემდეგ იგი დანიშნეს ცეკავშირის სისტემის ამბროლაურის საკონსერვო ქარხნის საამქროს უფროსად. 1978 წლის ნოემბერში საკონსერვო ქარხნის დირექტორად დაიწინაურეს კ. ლექავა, რომელიც წინათ უხეში დარღვევებისათვის „გათავისუფლეს რაიკოოპკავშირის თავმჯდომარის თანამდებობიდან. 1980 წლის დამდეგს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ ქარხანაში ამხილა • დამნაშავეთა ჯგუფი, რომელმაც დაიტაცა 200 ათას მანეთზე მეტი. ამ ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ აგრეთვე კ. ლექავა და დ. ჯაფარიძე.

რაიკომი რომ ღრმად ვერ სწვდებოდა შრომითი კოლექტივების ცხოვრებას და არ იცნობდა საქმის ნამდვილ ვითარებას, ამის მიზეზი ის არის, რომ იგი სუსტად იყო ინფორმირებული, საკმარისი კავშირი არ ჰქონდა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან და მიზანდასახულად არ მუშაობდა მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის. მეტწილ პარტორგანიზაციებში სუსტად არის განვითარებული კრიტიკა და თვითკრიტიკა. ფორმალურად ხორციელდება ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლი, სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობა, არ წარმოეს მტკიცე ბრძოლა შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის. ხშირად პარტიის რაიკომი არ აძლევს სათანადო პოლიტიკურ შეფასებას არაჯანსაღ გამოვლინებებსა და დარღვევებს, ნაჩქარევად, მოუფიქრებლად, არაკვალიფიციურად უდგება ან ზოგჯერ თავსაც არიდებს მათს განხილვას. სეროზული ნაკლოვანებანია იდეურ-პოლიტიკურ მუშაობაში: სათანადო ყურადღება არ ეთმობა აღმზრდელობითი მუშაობის დაყენებას შრომითს კოლექტივებში, საცხოვრებელ ადგილს, დაშორებულ დასახლებულ პუნქტებში, იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის ორგანული ერთიანობის შესახებ მოთხოვნების პრაქტიკულ დაცვას.

საკმარისი არ არის პარტიის რაიკომის ხელმძღვანელობა საბჭოთა, პროფკავშირო, კომკავშირული ორგანებისადმი და სახალხო კონტროლის ორგანებისადმი, რომლებიც უნიციატივოდ, ცუდად ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს. უპრინციპობა და ინერტულობა ახასიათებს სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის, მისი სამსახურებისა და განყოფილებების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობას.

ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა ფაქტობრივად თვითდინებაზეა მიშვებული. მათი გავლენა ოპერატიული ვითარების გაჯანსაღებაზე უმნიშვნელოა. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში შემაშფოთებელი ვითარების მიუხედავად, პარტიის რაიკომს არც კი განუხილავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანები. რაიკომის ბიუროზე დანეგილი არ არის ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელთა, პირველადი პარტორგანიზაციების მდივანთა ანგარიშების მოსმენა.

რაიკომის ბიუროს სხდომებზე არარეგულარულად, ზოგჯერ კი უხარისხოდ იხილავენ მოსახლეობის სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სამედიცინო, კომუნალური მომსახურების საკითხებს, თუმცა საქმის ვითარებას ამ სფეროებში ახასიათებს სეროიზული ნაკლოვანებანი, რაც მშრომელთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

მნიშვნელოვან სრულყოფას მოითხოვს პარტიის რაიკომის პლენუმებისა და ბიუროების მოწყობის პრაქტიკა; რაიკომი ცდილობს რაც შეიძლება ბევრი საკითხი განიხილოს, მაგრამ მათი სამრავლე გავლენას ახდენს მომზადების ხარისხზე, თავს იჩენს ფორმალიზმი. ამის გამო ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მიღებულ დადგენილებათა შესრულების ორგანიზაციასა და კონტროლს.

დაგნინებულია რაიკომის ინსტრუქტორებისა და განყოფილებების როლი პრაქტიკულ საკითხთა გადაწყვეტაში, არ სრულდება რაიკომის მუშაობის რეგლამენტი, ცუდად არის დაყენებული საქმის წარმოება. მდივნები, განყოფილებათა გამგეები ნაკლებად მუშაობენ საკუთარ თავზე, ჯერ-ოვნად არ სწავლობენ პარტიული მშენებლობის პრაქტიკას, ხშირად იჩენენ არაკომპეტენტურობას დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში. იმის გამო, რომ პარტიის რაიკომი სათანადო ხელმძღვანელობას, დახმარებასა და კონტროლს არ უწევს, მთელ რიგ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებები მოეწყო დაბალ ორგანიზაციულ-იდეურ დონეზე, კრებებზე ღრმად არ გაუანალიზებიათ საქმის ვითარება, არ ყოფილა პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის ამბროლაურის რაიკომის ბიუროსა და მისი პირველი მდივნის ამხ. ა. ვ. შარაბიძის მუშაობა რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელმძღვანელობის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, კადრების შერჩევისა და განაწილებისათვის არასაკმარისად ცნო.

პარტიის ამბროლაურის რაიკომს დაევალა ყველაფერი იღონოს, რათა აღმოფხვრას ნაკლოვანებანი, სრულყოს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრის უზრუნველყოფის მიზნით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის რაიკომს მოსთხოვა მნიშვნელოვნად გააქტიუროს რაიონის პარტორგანიზაციების მუშაობა მთავარი ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების დადაწყვეტისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და ყველა რგოლში მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, გაშალოს ქმედითი სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლეულის დამამთავრებელი წლის დავალებათა გადაჭრებით შესრულებისათვის, მომავალ ხუთწლეულში სტაბილური მუშაობის საიმედო საფუძველის შექმნისათვის.

განსაზღვროს ღონისძიებათა მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა, რომელიც ხუსტად იქნება გამიზნული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის გაძლიერების, ყველა კულტურის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის და მტკიცედ განახორციელოს იგი.

გარდაქმნას კადრებთან მუშაობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად, განავითაროს დემოკრატიული საწყისები კადრების შერჩევის დროს, გაზარდოს არჩევითი აქტივის, პირველადი პარტორგანიზაციების როლი და პასუხისმგებლობა ადამიანთა სწორი განაწილებისა და აღზრდისათვის, შექმნას კადრების მტკიცე რეზერვი და მათთან მუშაობის სისტემა; გადაჭრით მოუღოს ბოლო ხელმძღვანელთა ხშირი შეცვლის, საქმიანი და პოლიტიკური თვისებების შეუმოწმებლად ნომენკლატურულ თანამდებობებზე პირების დაწინაურების მანკიერ პრაქტიკას;

გაზარდოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის, მისი განყოფილებებისა და სამსახურების, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის, ადმინისტრაციული ორგანოების პასუხისმგებლობა თავიანთი მოვალეობის სრულფასოვანი შესრულებისათვის;

მთელი იდეოლოგიური მუშაობა მჭიდროდ დაუკავშიროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების კონკრეტულ ამოცანებს, უაეი განთავლილ ნოს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის სპეციფიკა, ჩაუნერგოს მშრომელებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, მაღალი პრინციპულობის, ნაკლოვანებებისა და დარღვევებისადმი შეუწყნარებლობის გრძნობა, საზოგადოებისათვის უცნო გამოვლინებათა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის უნარი;

აამაღლოს რაიკომის პლენუმების, ბიუროების, პირველადი ორგანიზაციების კრებების მომზადებისა და მოწყობის დონე, ამასთან უზრუნველყოს, რომ ღრმად ჩასწვდნენ განსახილველი საკითხების არსს, შეიმუშაოს ყოველმხრივ დასაბუთებული გადაწყვეტილებანი, ჯეროვანი კონტროლი გაუწიონ მათს შესრულებას, ყოველმხრივ განავითაროონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, გაზარდონ პირველადი და საამქრო პარტორგანიზაციების, პარტიული ჯგუფების მებრძოლურობა, კომუნისტების ავანგარდული როლი;

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს რაიკომის აპარატის მუშობის სტილის გაუმჯობესებას, ამასთან დადოიოს საკითხთა გადაწყვეტაში აჩქარება, არაათანამიმდევრულობა, შეიმუშაოს მუშაობის შედეგების შეფასებისადმი უფრო თვითკრიტიკული მიდგომა; სიმძიმის ცენტრი გადაატანოს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის შემოწმებისა და კონტროლის ორგანიზაციაზე.

პარტიის ამბროლაურის რაიკომს, სახალხო დეპუტატთა რაონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებს, სახალხო კონტროლის კომიტეტს, რაიონის ადმინისტრაციულ ორგანოებს დაევალათ ყველაზე გადამწყვეტი ღონისძიებანი განახორციელონ სოციალისტური საკუთრების დაცვაების, მექრთამეობის, ლოთობის, ხულიგნობის, მუქთახორობის, სხვა დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის, უყურადღებოდ არ დატოვონ და სერიოზულად, პირველადად განიხილონ საბჭოთა ადამიანების სოციალისტური საკუთრების ფორმების დარღვევის ყოველი ფაქტი.

რესპუბლიკის პროკურატურას, [illegible] ინსპექციის [illegible] ბრძოლის [illegible] ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლისათვის და განახორციელონ მათი გამოცდილი, ბრძოლისუნარიანი კადრებით განმტკიცების, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და შრომის სახელმწიფო კომიტეტს ამბროლაურის რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად დაევალთ შეისწავლონ რაონის შრომითი რესურსების გამოყენების შემდგომი გაფართოებისა და მათი ადგილზე დამკვიდრების საკითხი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება მიეცა განიხილოს საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 11 მაისის დადგენილება „ამბროლაურის რაიონის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ" და განახორციელონ მისი სრული პრაქტიკული შესრულების ღონისძიებანი.

რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელმძღვანელობის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, კადრების შერჩევისა და განაწილებისათვის მუშაობაში დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებებისა და დარღვევებისათვის საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ა. ვ. შარაბიძე და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. ი. ჩიტალაძე განთავისუფლებული არიან თანამდებობიდან.

პარტიის ამბროლაურის რაიკომს დაევალა ეს დადგენილება განიხილოს პარტიის რაიკომის პლენუმზე და პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

რას იწვევს უკონტროლობა

21 ათასი მანეთი ზარალი, უმიზნოდ დახარჯული ფონდრიბუური და უაღრესად დეფიციტური 336 ტონა ცემენტი, 77 ტონა საარმატურე ფოლადი და 1360 კუბური მეტრი ინერტული მასალები — ასეთი შედეგი მოჰყვა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის, „მშენინდუსტრიის" ტრესტის № 2 და № 5 რკინაბეტონის ნაწარმის ქარხნების, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის რკინაბეტონის ნაწარმის ქარხნის ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობას.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 1980 წლის სექტემბერში კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატმა, რომელსაც არ ჰქონდა საქმარისი რაოდენობის თაბაშნარის ქვა, დაიწყო მისი გამოყენება სანედლეულო ნარევში ქვედა ნორმატიული ზღვარის შესაბამისი რაოდენობით, ამასთან კომბინატის მთავარმა ინჟინერმა შ. მ. კურუამ და მთავარმა ტექნოლოგმა ო. ი. ჭეიშვილმა მკაცრი კონტროლი არ დაუწესეს სანედლეულო ნარევის კომპონენტებისა და განსაკუთრებით, თაბაშირის ქვის სათანადო შემცველობის დაცვას. ამის შედეგად კომბინატმა გამოუშვა 1400 ტონაზე მეტი ცემენტი, რომელიც არ შეესაბამებოდა სახსტანდარტის მოთხოვნებს. ცემენტს შეკვრის შემცირებული ვადები და ნაკლები სიმტკიცე ჰქონდა.

ეს მდგომარეობა გამოიწვია იმან, რომ კომბინატის ლაბორატორიისა და ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი მ. ი. გოზალოვა უპასუხისმგებლოდ მოეკიდა საქმეს, არ უზრუნველყო ჯეროვანი კონტროლი ტექნოლოგიური პროცესის დაცვისადმი, პროდუქციის ხარისხისადმი და სანქცია მისცა პორტლანდცემენტის რეალიზაციას.

ძირითადად ეს უხარისხო პროდუქცია გაგზავნათ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის ქუთაისის № 2 რკინაბეტონის ნაწარმის ქარხანას და „მშენინდუსტრიის" ტრესტის გორის № 5 რკინაბეტონის ნაწარმის ქარხანას.

ამ საწარმოებმა დაარღვიეს დადგენილი წესები. არ შეამოწმეს მიღებული ცემენტის ხარისხი და წარმოებაში გამოიყენეს იგი. დამზადებული რკინაბეტონის კონსტრუქციები წუნიანი გამოდგა.

აღნიშნულმა ქარხნებმა, რომლებიც დარწმუნდნენ, რომ ნაწარმი უხარისხო იყო იმის გამო, რომ ცემენტი არ შეესაბამებოდა სახსტანდარტის მოთხოვნებს, შეწყვიტეს მისგან რკინაბეტონის ნაწარმის დამზადება. უხარისხო ცემენტის ნარჩენები დაუმატეს ხარისხოვან ცემენტს და გამოიყენეს დაბალმარკიანი სასაქონლო ბეტონის დამზადებისათვის.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა, რომელმაც შეისწავლა უხარისხო ცემენტის გამოშვების მიზეზები, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს (ამხანაგები ო. ი. ლოლაშვილი, გ. ვ. მეფარიშვილი) და ამ სამინისტროს კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის (ამხ. ტ. გ. ალიბეგაშვილი) ხელმძღვანელთა ყურადღება მიაპყრო იმის, რომ დაუშვებელია ცემენტის წარმოების ტექნიკური პროცესისა და მისი ხარისხისადმი კონტროლის შესუსტება. კომიტეტმა მათ მოსთხოვა განახორციელონ დაუყოვნებლივი ღონისძიებანი მომავალში უხარისხო პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის ფაქტების აღმოფხვრისათვის.

უკონტროლობისა და ტექნოლოგიური დისციპლინის დარღვევისათვის, რასაც უხარისხო ცემენტის გამოშვება და მისი რეალიზაცია მოჰყვა, საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატის მთავარ ინჟინერს შ. მ. კურუას გამოეცხადა საყვედური, ხოლო მთავარ ტექნოლოგს ო. ი. ჭეიშვილსა და ლაბორატორიისა და ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსს მ. ი. გოზალოვას — სასტიკი საყვედური. მათ დაეწერათ ფულადი დანარიცხი.

ხარისხის შეუმოწმებლად მიღებული ცემენტის გამოყენებისათვის, რასაც მოჰყვა წუნიანი რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოშვება, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს „მშენინდუსტრიის" ტრესტის ქუთაისის № 2 რკინაბეტონის ნაწარმის ქარხნისა და მშენებლობის სამინისტროს № 4 ტრესტის რკინაბეტონის ნაწარმის ქარხნის დირექტორებს შ. კ. ნუცუბიძესა და ა. პ. სარალიძეს საყვედური გამოეცხადათ. (საქინფორმი).

მშრომელთა ეკონომიკური განათლება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მშრომელთა ეკონომიკური განათლების რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს სხდომა.

რესპუბლიკაში ეკონომიკური განათლების მდგომარეობისა და 1980–1981 ახალი სასწავლო წლის ამოცანების შესახებ მოსმენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ, პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის გამგემ ნ. კომახიძემ.

ეკონომიკური განათლების სისტემაში თბილისელ ელმავალშენებელთა თაოსნობის — „ლენინური პარტიის ყრილობას — დაჩქარებული შრომა, სანიმუშო ყოფა" გავრცელების გამოცდილებას მიუძღვნა თავისი გამოსვლა პარტიის ქუთაისის ლენინის რაიკომის მეორე მდივანმა, ეკონომიკური განათლების რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ვ. მუშლაძემ.

გაიმართა საფუძვლიანი სკა-ბაასი გასული სასწავლო წლის განმავლობაში რესპუბლიკური საბჭოს მუშაობის გეგმის შესრულების, 1980–1981 სასწავლო წლის გეგმის შესახებ და მეოთხედ ხუთწლეულში რესპუბლიკის მშრომელთა ეკონომიკური განათლების ხუთწლიანი გეგმის შემუშავების თაობაზე. ამ საკითხზე ილაპარაკა ეკონომიკური განათლების რესპუბლიკური საბჭოს მდივანმა ი. აბესაძემ. (საქინფორმი).

საერთაშორისო ცხოვრება
ლენინის ჟურნალი

საბჭოთა კულტურის დღეები

პრაღა, 18 ნოემბერი. საბჭოთა კულტურის დღეები, რომელიც პრაღასა და ჩეხოსლოვაკიის სხვა ქალაქებში დაიწყო, საბჭოთა კავშირის ხალხებთან მტკიცე მეგობრობის, თანამშრომლობისა და ძმური ერთიანობის ამსახველი ნამდვილი დღესასწაულია ჩვენი რესპუბლიკისათვის, განაცხადა საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. გავლინმა. ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს შესაძლებლობა მეეცნა მათ გაეცნონ საბჭოთა მრავალეროვნული ხელოვნების ოსტატთა მიღწევებს. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო ჩეხოსლოვაკიის შემოქმედებითი ინტელიგენციისათვის, არამედ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მშრომელისთვისაც, ვინაიდან საბჭოთა ხელოვნება ოპტიმიზმის ნიმუშია და აღმშენებლობითი შრომის ჰერროიკის მეხოტბეა.

თავის მიღწევებს, რომლებსაც ჩვენ ვნახავთ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში საბჭოთა კულტურის დღეების მსვლელობის დროს, თქვა მან შემდეგ, საბჭოთა ხელოვნება უნდა უმაღლოდეს უპირველეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თანამიმდევრულ პარტიკას, მისი ცენტრალური კომიტეტის, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოღვაწეობას.

საბჭოთა კულტურა ჩეხებისა და სლოვაკებისათვის ყოველთვის იყო რევოლუციური შთაგონების წყარო.

სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ხალხთა კულტურულ ურთიერთობას დიდი ხნის და სახელოვანი ტრადიციები აქვს, თქვა ი. გავლინმა. ჩვენი ვალია დღეს არა მარტო შევინარჩუნოთ, არამედ ყოველმხრივ განვავითაროთ და გავამდიდროთ ისინი. მოხარული ვართ ჩეხოსლოვაკიის ქალაქებში მივესალმოთ საბჭოეთის მდიდარი კულტურის წარმომადგენლებს, და ვეცდებით გავაცნოთ ჩვენი შრომის შედეგები, ჩვენი ხალხის მიღწევები.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში საბჭოთა კულტურის დღეები საბჭოთა ადამიანებად სულიერი დაახლოების დღესასწაულად იქცევა.

გადაჭრით მოგვენ

ნიუ-იორკი, 18 ნოემბერი. არაბული ქვეყნების ლიგის მუდმივმა მეთვალყურემ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კ. მაქსუდმა გადაჭრით დაგმო ეგვიპტეში დაწყებული ამერიკა-ეგვიპტის ერთობლივი სამხედრო მანევრები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში გამართულ პრესკონფერენციაზე მან თქვა, რომ ეს ეწინააღმდეგება მიუმხრობლობის სტატუსს და მხოლოდ აძლიერებს დაძაბულობას რეგიონში.

არაბული ქვეყნების ლიგის წარმომადგენელმა უარყო ისრაელის პრემიერის მ. ბეგინის, აგრეთვე „ისრაელის ამერიკელ ალოლოგეტთა, კერძოდ, სენატორ ჯექსონის" მიერ ამ დღეებში ნიუ-იორკში გაკეთებული განცხადებები, თითქოს ირან-ერაყის შეიარაღებული კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის ლამის ძირითადი წყაროა იყოს.

კ. მაქსუდმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მოუწოდა განიხილოს ისრაელის წინააღმდეგ სანქციების შემოღების საკითხი.

ეგვიპტის მოლაპარაკებების პირველი რაუნდი

ჟენევა, 17 ნოემბერი. დღეს აქ დამთავრდა ევროპაში ბირთვული იარაღების შეზღუდვის საკითხებისადმი მიძღვნილი საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების ამა წლის 17 ოქტომბერს დაწყებული პირველი რაუნდი. საქმიან ატმოსფეროში მიმდინარე ამ საკითხების განხილვამ მხარეებს უკეთ გააგებინა ერთმანეთის პოზიცია.

გაისად მოლაპარაკების განახლების თარიღი მოგვიანებით განისაზღვრება ურთიერთკონსულტაციების გზით.

ჰენგ სამრინის გაანცხადება

პნომპენი, 18 ნოემბერი. ვითარება კამპუჩიაში თანდათან სტაბილური ხდება და ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს კამპუჩიის რევოლუციის პროგრესს. კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის განვითარება შეუქცევადია, განუცხადა ჟურნალისტებს კამპუჩიის ეროვნული ხსნის ერთიანი ფრონტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ, კამპუჩიის სახალხო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ჰენგ სამრინმა.

ჩვენს პერსპექტივებს, ჩვენს მომავალს, თქვა მან, ეუკავშირებთ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან მჭიდრო კავშირსა და თანამშრომლობას. კამპუჩია მზად არის განავითაროს ურთიერთობა ყველა მშვიდობისმოყვარულ სახელმწიფოსთან თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებზე. რაც შეეხება ტაილანდს, დაინტერესებული ვართ მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობა დავამყაროთ, მაგრამ ტაილანდის ახლანდელ პოზიციას კამპუჩიის მიმართ მეგობრულად ვერ მივიჩნევთ.

ჰენგ სამრინმა გადაჭრით დაგმო ჩინეთის ჰეგემონიზმისა და ამერიკის იმპერიალიზმის ხრიკები, რომლებიც მიმართულია სახალხო კამპუჩიის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ. საერთაშორისო რეაქცია, უპირველეს ყოვლისა პეკინი და ვაშინგტონი, აღნიშნა მან, ცდილობენ ხელი შეუწყონ ტაილანდის ტერიტორიაზე თავშეფარებულ გადარჩენილ პოლ-პოტელებს, აქეზებენ მათ შეიარაღებული პროვოკაციებისათვის.

ჩვენი ქვეყანა გმობს ყოველგვარ პროვოკაციულ ხრიკებს, რომელთა აზრი ის არის, რომ ეგრეთ წოდებული „კამპუჩიის საკითხის" ნიღბით საეჭვო გახდონ სახალხო კამპუჩიის სუვერენული განვითარება. ყოველი აქცია, როგორც უნდა ეწოდებოდეს მას — „კამპუჩიის საერთაშორისო კონფერენცია" თუ რაღაც მსგავსი რამ — მიგვანიჩნია ჩვენს საშინაო საქმეებში ჩარევის ცდად, ხაზი გაუსვა ჰენგ სამრინმა.

საკდესისა და ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ახალგაზრდა ბავშვიანი დედა და ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი ხეცაში... გაზეთ „აჰაკატაში" გამოქვეყნებული ეს სურათი მეტად სიმბოლურია. იაპონიის მოსახლეობა ახლა დიდად აღშფოთებულია ქვეყნის მილიტარისტული კურსით.

იაპონელ დედებს, ისევე როგორც ჩვენი პლანეტის ყველა ქალს, აწუხებთ თავიანთი შვილების ბედი, სურთ მშვიდობიანი ცხოვრება. იაპონიას ამ ბოლო ხანებში სულ უფრო იტაცებს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-ავანტიურისტული გლობალური სტრატეგია, ეს კი, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ ალაშფოთებდეს იაპონელებს.

იაპონელებს აღშფოთებთ მილიტარისტული კურსი

იოკოსუკა, აცუგი, იოკოტა, კადენა... აი ზოგიერთი ამერიკული სამხედრო ბაზებიდან, რომელიც მრავლად არის იაპონიის კუნძულებზე. პენტაგონმა იაპონიის ტერიტორიაზე მოაწყო სხვადასხვა დანიშნულების 140 სამხედრო ობიექტი, რომლებსაც დაახლოებით 50 ათასი კაცი ემსახურება. ამერიკის მხედრიონმა უზარმაზარ სამხედრო პოლიგონად აქცია კუნძული ოკინავა.

ვაშინგტონის ზეგავლენით იაპონიის მმართველი წრეები აშკარად დაადგნენ ქვეყნის მილიტარიზაციის კურსს. აძლიერებენ ეგრეთ წოდებულ „თავდაცვის ძალების" შეიარაღებას. ახლა იაპონიის არმია აღჭურვილია ყველაზე თანამედროვე იარაღით და შედის მსოფლიოს უძლიერეს არმიათა „ათეულში". განუხრელად იზრდება ასიგნებანი სამხედრო საჭიროებისათვის, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად ადგენენ საშიშ სამხედრო ავანტიურის გეგმებს.

სურათებზე: გაზეთ „აჰაკატაში" დაბეჭდილი ბავშვიანი დედის სურათი (მარცხნივ); ტოკიოელ მშრომელთა ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ნატოს საშიში გეგმების წინააღმდეგ

ბონი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენელნი პროტესტს აცხადებენ ნატოს იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომ გასაგოს ევროპაში საშუალო სიშორის ახალი რაკეტულ-ბირთვული იარაღი.

პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდობის ორგანიზაცია „ახალგაზრდა სოციალისტების" თავმჯდომარემ ვ. პიჩიკმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა „მოლაპარაკების გზით მივაღწიოთ ნატოს ამ გადაწყვეტილების გაუქმებას".

საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, განიარაღებისა და ურთიერთგაგების პოლიტიკის გზაზე მთავარი დაბრკოლება უწოდა ნატოს გეგმებს გერმანიის სოციალისტური მუშა ახალგაზრდობის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ვ. შტიურმან

გამარჯობა, დიდებულო მიწავ!

აჭარაში მიმდინარეობს თბილისის დღეები

მართალია, გადაუღებლად წვიმს ბათუმში. მაგრამ მაინც დიდია საზეიმო ელფერი და განწყობილება. სწორედ ამ განწყობილებით მოვიდა გუშინ რკინიგზის ვაგზალზე ქალაქის საზოგადოებრიობა ძვირფას სტუმრებთან — თბილისის დღეების მონაწილეებთან შესახვედრად.

დიდ-პატარამ თაიგულები მიართვეს სოციალისტური შრომის გმირს პოეტ-აკადემიკოს ი. აბაშიძეს, სსრ კავშირის სახალხო არტისტებს ო. თაქთაქიშვილს, ზ. ანჯაფარიძეს, ი. სუხიშვილს, თ. აბულაძეს, რესპუბლიკის სახალხო არტისტებს ნ. ბერეგაძეს, გ. გეგეჭკორს, გ. სალარაძეს, ვ. კიკაბიძეს, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ნ. ჯანბერიძეს, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანს პოეტ ჯ. ჩარკვიანს, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის წევრებს, ცნობილ მომღერლებს.

— ჩემთვის ყოველთვის დიდად სასიხარულოა საქართველოს ამ უმშვენიერესი კუთხის ხილვა. მივესალმები ჩემი ბათუმის ყველა მცხოვრებს, როგორც მათი მოტრფიალე პოეტი, როგორც თბილისის საპატიო მოქალაქე, აშბობს პოეტ-აკადემიკოსი ი. აბაშიძე.

იქვე, რკინიგზის ვაგზალზე, მიტინგს ხსნის აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. დიასამიძე.

სტუმართა სახელით ბათუმელ მშრომელებს მიესალმება თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. გაბუნია.

... ვიღას ახსოვს გვიანი შემოდგომის უჟამური ამინდი. სასტუმრო „ინტურისტამდე“ ყვავილებით ეგებებიან სტუმრებს ბათუმელები.

შემდეგ სტუმარ-მასპინძლებმა გვირგვინებით შეამკეს პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლი და დიდ სამამულო ომში დაღუპულ გმირთა პატივსაცემად სანაპიროზე აღმართული ობელისკი.

ბათუმის ცენტრში არის ერთი უძველესი მოედანი, რომელიც მრავალი რევოლუციური გამოსვლის მოწმეა. ამ მოედანს, სადაც თავს იყრიან ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩები, ამიერიდან თბილისის მოედანი ეწოდება. მოედანზე გაიმართა საზეიმო მიტინგი, რომელიც გახსნა საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. მანჯგალაძემ.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტში მოეწყო „თბილისის დღეების“ დელეგაციის მიღება, სადაც სტუმრებს მიესალმა პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პაპუნიძე.

დელეგაციის მეთაურმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. მენთეშაშვილმა მადლობა გადაუხადა მასპინძლებს გულთბილი მიღებისათვის.

აჭარაში თბილისის დღეები გრძელდება.

მ. გორგილაძე,
ვ. მარდალეიშვილი,
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტები.

ბოლო ტურის წინ

ბუნინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების „საკავშირო“ ჩემპიონატის ოცდაშეცამეტე ტურის ბოლო ორი მატჩი. გთავაზობთ შედეგებს: ასკ-„ლოკომოტივი“ — 2:1, „კარპატი“-„სპარტაკი“ — 1:0.

ბოლო, ოცდამეთოთხმეტე ტურის წინ გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	მ	ფ	წ	ბ	ქ
„დინამო“ (კ)	21	8	4	61-21	50
„სპარტაკი“	18	9	6	47-22	45
„ზენიტი“	15	10	8	50-42	40
„დინამო“ (თბ)	16	7	10	50-30	39
ცსკა	13	11	9	34-30	36
„შახტიორი“	13	8	12	44-39	34
„ჩერნომორეცი“	12	9	12	33-35	33
„არარატი“	11	11	11	37-40	32
„დინამო“ (მნ)	10	12	11	39-41	30
ახკ	10	10	13	39-47	30
„ყაირათი“	10	11	12	33-43	30
„ნეფთჩი“	10	9	14	29-40	29
„ტორპედო“	9	11	13	27-32	28
„ფახთაქორი“	9	8	16	25-39	26
„კარპატი“	9	8	16	23-44	26
„დინამო“ (მ)	8	14	11	28-32	26
„ყუბანი“	8	10	15	29-41	26
„ლოკომოტივი“	8	8	17	33-43	24

როგორც ხედავთ, ოქროსა და ვერცხლის მედლის მფლობელი გუნდების ვინაობა უკვე გარკვეულია. ერთი ტურიც და, ჯამოვლინდება მესამე პრიზიორი. ამ ადგილზე რა ხანია მხოლოდ ორი გუნდი აცხადებს პრეტენზიას — „ზენიტი“ და თბილისის „დინამო“. და აი, ყველაფერი ბოლო ტურში უნდა გადაწყდეს, რომელშიც „ზენიტი“ შეხვდება „ყაირათს“, ხოლო თბილისის „დინამო“ მინსკში ადგილობრივ თანაკლუბელებთან ითამაშებს. „ზენიტს“ ორმაგი უპირატესობა აქვს: ჯერ ერთი, საკუთარ მინდორზე ითამაშებს, მეორეც — მას თბილისის „დინამოზე“ 1 ქულით მეტი აქვს.

რაც შეეხება იმ კოლექტივებს, რომლებიც უმაღლეს ლიგას უნდა გამოემშვიდობონ, მათი ვინაობაც ბოლო ტურის მატჩებმა უნდა გაარკვიოს. დაკვირდით გთამაშების ცხრილის იმ ადგილს, სადაც აუტსაიდერები არიან განლაგებული. რომელია მათგან ორი, რომლებიც უმაღლეს ლიგას დატოვებენ? ყველაფერი ბოლო ტურმდე გაირკვევა და ამიტომ ურიგო არ იქნება გავიხსენოთ, ვინ ვის და როდის ხვდება ერთმანეთს:

21 ნოემბერი. მოსკოვის „დინამო“ — „ფახთაქორი“, „ტორპედო“ — „ნეფთჩი“; **22 ნოემბერი.** „ყუბანი“ — „არარატი“, მინსკის „დინამო“ — თბილისის „დინამო“, ცსკა — კიევის „დინამო“, „ლოკომოტივი“ — „შახტიორი“, დონის როსტოვის არმიელთა გუნდი — „კარპატი“, „ზენიტი“ — „ყაირათი“, „სპარტაკი“ — „ჩერნომორეცი“.

გამომცემლობა „მერნის“ საგამოფენო დარბაზში გაიხსნა საქინფორმის ფოტოკორესპონდენტების — გივი კიკვაძის, მალხაზ დათიკაშვილისა და სერგო ედიშერაშვილის ფოტონამუშევრების გამოფენა. თბილისელი ფოტოკორესპონდენტები მუშაობდნენ საკვლისის სპეციალურ ბრიგადაში, რომელსაც დავალებული ჰქონდა ფირზე აღებეჭდა მოსკოვში გამართული ოლიმპიური ახპარეზობის პერიპეტიები. გამოფენაზე წარმოდგენილია 150-მდე ფოტოსურათი.

სურათებზე: ზემოთ — „ოლიმპიური დათუნიას მექსიკური ვარიანტი“; ქვემოთ — „გულშემატკივრები“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

თბილისის 26 კომისრის სახელობის წითელდროშოვანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებლის საკომანდო-პოლიტიკური და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის წარმომადგენელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისათვის არტილერისტ ოფიცერთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეში წარმატებებისათვის, მშრომელთა სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის, თბილისის 26 კომისრის სახელობის წითელდროშოვანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებლის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ასრიევა მერი ასატურის ასული — თბილისის 26 კომისრის სახელობის წითელდროშოვანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებლის უცხო ენათა კათედრის გამგე.

ბაბაევი ამირ ჰუსეინის ძე — პოლკოვნიკი, კათედრის უფროსის მოადგილე.

ბაიბურინი რახილ ნურლიგაიანის ძე — პოლკოვნიკი, მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

გავრილო ემელიანე ივანეს ძე — პოლკოვნიკი, სასწავლებლის პოლიტიკური განყოფილების უფროსი.

ეფრემოვი ალექსანდრე ივანეს ძე — პოლკოვნიკი, ტაქტიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

ნიკოლაიშვილი გურამ ანანიას ძე — პოლკოვნიკ-ინჟინერი, საარტილერიო შეიარაღების უფროსი მასწავლებელი.

შუვალოვი ვლადიმერ გრიგოლის ძე — არტილერიის გენერალ-მაიორი, სასწავლებლის უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 11 ნოემბერი.

ბრძოლების ქარცეცხლში შობილი

თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი მეთაურთა უმაღლესი საარტილერიო სასწავლებლის მე-60 წლისთავის გამო.

ქვეყნის ერთ-ერთი პირველი სამხედრო სასწავლებლია ახლადელი თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი მეთაურთა საარტილერიო უმაღლესი სასწავლებელი. იგი შეიქმნა XI არმიის კურსანტთა პირველი აღმოსავლეთის ბრიგადის მე-6 კურსანტთა პოლკის ბაზაზე.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს პოლკი განლაგდა ქალაქ თბილისში და გარდაიქმნა მეთაურთა კურსებად. ისინი მეეკი რიგი რეორგანიზაციების შემდეგ სსრ კავშირის რევოლუციური. სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით გაერთიანდნენ სხვა სამხედრო სასწავლებლებთან, რომლებიც საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებობდნენ და ეწოდათ ამიერკავკასიის ქვეითთა სკოლა.

1929 წლის თებერვალში სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით წითელ მეთაურთა მომზადებაში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის ამიერკავკასიის ქვეითთა სკოლა დაჯილდოდა რევოლუციური წითელი დროშით, ხოლო ნოემბერში სსრ კავშირის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ბრძანებით მას მიენიჭა საპატიო სახელწოდება — 26 ბაქოელი კომისრის სახელობისა.

იმ დროს წელს სკოლის შემადგენლობაში შეიყვანეს საარტილერიო დივიზიონი, რომელიც შემდგომში საარტილერიო სასწავლებლად მისი გარდაქმნის საფუძველი გახდა.

სასწავლებლის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაიწერა 1938 წლის 31 ოქტომბერს, როცა იგი ინფანტ სერგი ანდრიას ძე ოგანოვის ბატარეამ. არტილერისტებმა 1941 წლის ნოემბერში დონის როსტოვთან გაიმეორეს 28 პანფილოველის გმირობა. სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ბრძანებით ლეიტენანტი ს. ა. ოგანოვი სამუდამოდ ჩაირიცხა თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი მეთაურთა უმაღლესი საარტილერიო სასწავლებლის პირველი ბატარეის სიებში.

1942 წელს, კავკასიისათვის ბრძოლის პერიოდში, სასწავლებლის ოფიცერთა და კურსანტთაგან ჩამოყალიბდა საარტილერიო დივიზიონი, რომელმაც 823-ე საარტილერიო პოლკის შემადგენლობაში ბრძოლებით გაიარა გზა ორჯონიკიძიდან ბერლინამდე. სამშობლომ დიდად დააფასა არტილერისტთა საბრძოლო დამსახურება. საკმარისია ითქვას, რომ ბევრი მათგანი გახდა დიდების ორდენის სრული კავალერი. ესენი არიან ყოფილი კურსანტები ვ. ა. ტკაჩენკო, ა. ა. მარგარიანი, თ. პ. ბონდარენკო, ა. ა. ოლეინიკოვი და სხვები.

ოფიცერთა კადრების მომზადებაში წარმატებებისა და სამშობლოს წინაშე საბრძოლო დამსახურებისათვის 1945 წლის 19 აგვისტოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სასწავლებელი წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა.

სასწავლებლის კოლექტივი თავის იუბილეს აღნიშნავს პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის — სკკპ XXVI ყრილობისათვის ყველა საბჭოთა ადამიანის მზადების სახელოვან დღეებში. კურსანტებმა, ოფიცრებმა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ ახალი ძალით გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ლენინური პარტიის მომავალი ყრილობის აღსანიშნავად.

სასწავლებლის ახლანდელი კურსანტები უფროს თაობათა სახელოვანი რევოლუციური და საბრძოლო ტრადიციების ღირსეული მემკვიდრენი და განმგრძობნი არიან. თავიანთ მოვალეობას — ისწავლონ სოციალისტური სამშობლოს საიმედოდ დაცვა, მუდამ მზად იყვნენ საბრძოლოდ, რაც ნებისმიერი აგრესორის დაუყოვნებლივ მოგერიების გარანტიას იძლევა, — ისინი ღირსეულად ასრულებენ.

პოლკოვნიკი
ე. გავრილო,
სასწავლებლის პოლიტგანყოფილების უფროსი.

ა რ მ ი ი ს ცვლილებული ძლიერება

(დასასრული)

საარტილერიო დარტყმა, უფრო ნათლად გამოვლინდა საბჭოთა არტილერიის უდიდესი ძლიერება, მისი საბრძოლო დამსახურების აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებულებით დადგინდა დღესასწაული — არტილერიის დღე, ხოლო 1964 წლიდან, საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძირეული გარდაქმნების გათვალისწინებით, — სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღე.

ამ დღეს საბჭოთა ხალხი ადიდებს ვეტერან ფრონტელთა გმირულ მამაცობას, პატივს მიაგებს საბჭოთა სამშობლოს უშიშროების სადარაჯოზე ფხიზლად მდგომ მერაკეტეებსა და არტილერისტებს, ჯეროვნად აფასებს მეცნიერებსა და კონსტრუქტორებს, თავდაცვითი მრეწველობის ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, მუშებს — მძლავრი სარაკეტო და საარტილერიო იარაღის შემქმედთ.

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა არმიის გმირულ ბრძოლაში მრავალი ნათელი ფურცელი ჩაწერა არტილერიამ დიდი სამამულო ომის წლებში. განსაცდელის ჟამს იგი ღირსეულად ატარებდა „ომის ღმერთის“ საამაყო სახელს, დაადასტურა მოწინააღმდეგის არტილერიაზე თავისი უპირატესობა საბრძოლო შესაძლებლობებით, იარაღის საბრძოლო გამოყენების ხელოვნებით.

უმაღლესი მთავარსარდლის 1944 წლის 19 ნოემბრის არტილერიის დღის პირველი დღესასწაულისადმი მიძღვნილ № 225 ბრძანებაში აღნიშნული იყო: „საბჭოთა არტილერისტებმა და ნაღმმტყორცნელებმა თავისი სახელი განუმეორებელი სიმამაცისა და გმირობის უკვნობი დიდებით შეამკეს, ხოლო მეთაურებმა და უფროსებმა ცეცხლის მართვის მაღალი ხელოვნება გამოავლინეს“.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად შეაფასეს არტილერისტთა საბრძოლო გმირობა — 1800-ზე მეტ კაცს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და 1 მილიონ 600 ათასზე მეტი დაჯილდოდა ორდენებითა და მედლებით. ასობით საარტილერიო ნაწილი და შენაერთი გარდაქმნა გვარდიულად, დაჯილდოდა ორდენებით, მიიღო საპატიო სახელწოდებანი.

ოცდათექვსმეტი წელია საბჭოთა ადამიანები ცხოვრობენ და შრომობენ მშვიდობიანი ცის ქვეშ. ამ პერიოდში უზომოდ გაიზარდა ჩვენი სახელმწიფოს ძლიერება, მისი საერთაშორისო ავტორიტეტი, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუღალავი მოღვაწეობის მეოხებით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ გამოცხადებული მშვიდობის ლენინური იდეები საბრძოლო დროშად იქცა პლანეტის ყველა პატიოსანი ადამიანისათვის.

სამხედრო საქმეში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგების მკაფიო გამოვლინებაა სტრატეგიული მნიშვნელობის სარაკეტო ჯარების შექმნა, რომლებიც საბჭოთა შეიარაღებული ძალების მთავარ დამრტყმელ ძალად იქცნენ. ისინი განასახიერებენ საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის საიმედო ფარს.

მერაკეტეთა და არტილერისტთა ახლანდელი თაობა გამოირჩევა იდეურ რწმენასთან ორგანულად შერწყმული მაღალი ზოგადსაგანმანათლებლო და სამხედრო-ტექნიკური მომზადებით, იდეალისადმი უსაზღვრო ერთგულებით.

მერაკეტეები და არტილერისტები, თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს რომ აღნიშნავენ, ვალდებულებას კისრულობენ სკკპ XXVI ყრილობას შეეგებონ მხედრული შრომის ახალი წარმატებებით.

მერაკეტეები და არტილერისტები, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ყველა მეომართან ერთიან მწყობრში მუდამ მზად არიან მოიხადონ თავიანთი პატრიოტული და ინტერნაციონალური ვალი სოციალისტური სამშობლოს, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის დასაცავად. (საკდესი).

ბ ა ბ ა ხ ი

ბოლო ტურის წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასკვნითი ეტაპი

უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მატჩები თებერვალ-მარტში გაიმართა. მაშინ ასპარეზობაში ჩაება 12 კოლექტივი და აი მათგან 6 საუკეთესო დღეს მოსკოვში იწყებს დასკვნითს ტურნირს. პირველ წრეში დაგროვილი ქულები გუნდებს ეთვლებათ და თითოეულ მათგანს აქვს შანსი იბრძოლოს სპარიზო ადგილისათვის. წარმოგიდგენთ კოლექტივებს, რომლებიც პირველ ეშესეულში არიან: სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბი, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი (ბაქო), მოსკოვის უნივერსიტეტი, ალმათის „დინამო“, თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „დინამო“. დასკვნითი ტურნირის წინ გთავაზობ ცხრილში გუნდების მდგომარეობა ასეთია:

	მ	ფ	წ	ბ	ქ
სსფ ცსკ	9	1	1	74-44	19
კზფ	7	2	2	70-60	16
უნივერსიტეტი	7	1	3	80-68	15
„დინამო“ (ა-ა)	6	3	2	76-64	15
„დინამო“ (თბ)	6	2	3	80-69	14
„დინამო“ (მ)	6	1	4	78-60	13

თასეგი, თასეგი...

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვედფინალის პირველი მატჩი თბილისის „ქარიშხალასა“ და მადრიდის „ატლეტიკოს“ ხელბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის გაიმართება 7 დეკემბერს ესპანეთის დედაქალაქში, განმეორებითი შეხვედრა კი 14 დეკემბერს მოეწყობა თბილისში. ქალთა შორის ამავე გათამაშების მერვედფინალში „როსტსელმაში“ ხვდება „ფორვერტსს“ ოდერის ფრანკფურტში (გდრ) — 7 დეკემბერს, როსტოვში კი 13 დეკემბერს.

ვაჟთა გუნდებს შორის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მერვედფინალური მატჩის განრიგი ასეთია: ცსკა-„სტანდარტი“ (საფრანგეთი). პირველი შეხვედრა გაიმართება 6 დეკემბერს საფრანგეთში, 12 დეკემბერს კი მოსკოვში. ქალთა გუნდები: „სპარტაკი“ (კიევი)-„ჰელასი“ (ჰოლანდია). სტუმრად — 6 დეკემბერს, შინ — 14 დეკემბერს.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

დრო და აზრი

თითქმის ოთხ ათეულ წელს ელოდა მზის სინათლეს ცნობილი მკვლევარის **მაქსიმ ბერძენიშვილის** ნაშრომი **„მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ხაზოგადოებრიობის ისტორიისათვის“.** ჟამთა სვლამ ფურცლებს ფერი უცვალა, მაგრამ უცვლელად შემოინახა ნათელი აზრი, რომელიც ავტორმა მათზე დიდი რუდუნებით გადაიტანა.

მ. ბერძენიშვილი მეცნიერთა იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, რომელსაც ახასიათებდა არაჩვეულებრივი სიდინჯე და დიდი პასუხისმგებლობა კვლევა-ძიებითს მუშაობაში. ალბათ, ესვე იყო მიზეზი, რომ მისი ნამოღვაწარი მკითხველმა დიდი დაგვიანებით მიიღო.

სარეცენზიო ნაშრომი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში წარმოდგენილია ქართველი საზოგადოებრიობის ცხოვრების ისტორია 1833-1844 წლებში, ხოლო მეორეში მოცემულია მდიდარი მასალა XVIII-XIX საუკუნეების ქართველ მოღვაწეთა ბიოგრაფიისათვის (მხოლოდ დასაწყისი ნაწილი). ფაქტობრივად, ეს არის ბიოგრაფიული ლექსიკონი, რომლის შედგენისაც ავტორმა მრავალი წელი მოანდომა.

მეტად ძნელია გასული საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების სურათის სრულყოფილად აღდგენა. ამ პერიოდის შესასწავლი მასალა ძუნწად შემონახულა; ზოგი მათგანი ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობების შემცველია, ზოგი კი ნაკლებად სანდო.

მ. ბერძენიშვილმა საკმაოდ რთული მიზანი დაისახა. მას სურდა შეესწავლა თუ „რა ასულდგმულებდა, რა აწუხებდა იმდროინდელ თაობას, რა სწყუროდა, რისკენ მიილტვოდა იგი“. მკვლევარი მშვენივრად გრძნობდა, რომ ეს მცირედი, თანაც მწირი მასალა, როგორც გამოუქვეყნებელი, ასევე ცნობილი, საჭიროებდა კრიტიკულ შესწავლას, მრავალგვარ გამოწვლილვას, რათა აღედგინა და დაედგინა ისტორიული ჭეშმარიტება. ცხადია, ასეთ ვითარებაში ყოველ ახალ სიტყვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მ. ბერძენიშვილი პირველი მკვლევარია, რომელმაც გასული საუკუნის 30-40-იანი წლებს „პირველი აღმავლობის ხანა“, ანუ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპი უწოდა, რაც ამ ბოლო წლებში უცილობელ ჭეშმარიტებად იქნა მიჩნეული და გაზიარებული მრავალი ისტორიკოსისა თუ ლიტერატორის მიერ.

უდავოდ მართალია მ. ბერძენიშვილი, როდესაც იგი უწყვეტ იდეურ კავშირს, იდეურ ერთობლიობას ხედავს „აჯანყებასა“ და სამეციანი წლების მოძრაობას შორის, მაგრამ ვერ დავეთანხმებით მკვლევარს, თითქოს სამოციანელთა სამოქმედო პროგრამა გადამღერება იყო სოლომონ დოდაშვილის პროკლამაციაში იშვიათი ექსპრესიით გამოთქმული მამულის სიყვარულით აღზნებული „აჯანყარმელების“ შეხედულებებისა. სამოციანი წლები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე, ამაღლებული ეტაპია ქართველი ხალხის ინტელექტუალურ ცხოვრებაში, რომელსაც ეპოქის შესაბამისი ახალი იდეები აცისკროვნებდა და ეროვნული პრობლემის პარალელურად მკვეთრად აყენებდა სოციალურ საკითხსაც, რაც არ იყო დამახასიათებელი ოცდაათიანი წლების ქართველ მოღვაწეთათვის. ყოველივე ამას მკვლევარი მშვენივრად ხედავს და არათუ მიუთითებს, არამედ დამაჯერებლადაც ასაბუთებს, თუ რატომ არ წამოჭრილა შეთქმულთა წრეში სოციალური საკითხი, რატომ ჩამორჩა იგი დეკაბრისტულ მოძრაობას.

მკვლევარი ჩერდება ორ მნიშვნელოვან დოკუმენტზე და იძლევა მათ საყურადღებო ინტერპრეტაციას; ერთია ი. ხელაშვილის „ორნინი“, მეორე — ფ. კიკნაძის „აქტი გონივრული“.

სწორია მ. ბერძენიშვილი იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ იზიარებს იმ მკვლევართა მოსაზრებას, რომელნიც „აჯანყარმობის“ კატასტროფის შედეგად შექმნილ მდგომარეობას სრული სიცარიელის და უკაცრიელობის პერიოდად ნათლავენ. ციფრობრივი მასალისა და მრავალი ფაქტის მოშველიებით მეცნიერმა დაგვანახვა, რომ 1833-1837 წლებში ფრიად საყურადღებო საზოგადოებრივი მნიშვნელობის მუშაობა მიმდინარეობდა: იქმნებოდა ახალი ლიტერატურული ნაწარმოებები, ითარგმნებოდა სასულიერო და განსაკუთრებით საერო ხასიათის თხზულებანი, ხდებოდა ძველი ხელნაწერების განახლებადაწერა და სხვ. ცხადია, ასეთი მუშაობა დიდი მასშტაბით არ წარმოებდა, მაგრამ რაც იყო, ისიც ნათლად გამოხატავდა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებას და მისწრაფებას. ამ გარემოებამ მ. ბერძენიშვილს საშუალება მისცა წამოეყენებინა სწორი დებულება: — „აჯანყარმობის“ კატასტროფის შედეგად შექმნილი მდგომარეობის სიცარიელე და უკაცრიელობად მონათვლა მხოლოდ პირობითად თუ შეიძლებაო.

ნეიდჰარტისა და გოლოვინის მოღვაწეობის პერიოდს მ. ბერძენიშვილი მიიჩნევს ახალი ხანის დასაწყისად საქართველოს ცხოვრებაში. მართლაც, ეს არის მმართველობის სამხედრო სისტემიდან სამოქალაქო სისტემაზე გადასვლის ხანა. მკვლევარი სწორად აღნიშნავს, რომ არც ამ სისტემის დამკვიდრება მომხდარა უმტკივნეულოდ. სწორედ ამ გარდამავალ პერიოდში გამოიკვეთა სამი ფენა ქართველ ინტელიგენციაში, რომელთა არსებობას მ. ბერძენიშვილმა მკვეთრად გაუსვა ხაზი: — ერთია „მიმავალი ფენა მიმბბაშნაზარებისა“, რომელთაც შეიგნეს გარდასულ დროთა დაბრუნების შეუძლებლობა, საკუთარი თავის ზედმეტობა და დრომოჭმულობა. მეორეა „მწიგნობართა ფენა“, პირველთან შედარებით უფრო ენერგიული და ინიციატივიანი, ხოლო მესამეა „ახალი თაობა“, რომელთაც ეკუთვნიან, ერთი მხრივ, ყოფილი ყაზარმელები, რუსეთიდან რომ დაბრუნდნენ, მეორეს მხრივ კი მათი იდეებით სასაზრდოები ყმაწვილკაცობა, რომელიც ის-ის არის გამოდის ცხოვრების ასპარეზზე და რომლის დევიზსაც წარმოადგენს „ზრუნვა სოფლისათვის“; ეს ის ახალგაზრდობაა, რომელიც სამშობლოში ეზიარა მოწინავე რუსულ-ევროპულ კულტურას, ან რუსეთში მიიღო განათლება: შეიძლება მ. ბერძენიშვილის მიერ შემთავაზებული ასეთი კლასიფიკაცია მთლად ზუსტი არ იყოს, მაგრამ იგი მაინც ანგარიშგასაწევია.

ახალი თაობის მსოფლმხედველობის ნათლად გამოკვეთის მიზნით, ავტორი საგანგებოდ მსჯელობს ჟურნალ „თბილისის“ გიმნაზიის ყვავილზე“ და სწორად შენიშნავს ს. დოდაშვილის ცხოველ გავლენას მის თანამშრომლებზე.

„ახალ თაობაში“ მ. ბერძენიშვილის ყურადღებას იქცევს პლატონ იოსელიანი, რომელიც „თითქოს აგრძელებს ს. დოდაშვილის მიერ წამოყენებულსა და უდროოდ წარკვეთილ საქმიანობას, ისიც ერთ უბანზე მხოლოდ და ნაკლები მასშტაბით“. ნაშრომში გვხვდება საინტერესო მსჯელობა პლ. იოსელიანის დამსახურებაზე ქართული შრიფტის გაუმჯობესების საქმეში, მის ურთიერთობაზე მარი ბროსესთან და ამ ურთიერთობის დადებითი შედეგების შესახებ.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ნაშრომის ის ნაწილი, სადაც ავტორი გვესაუბრება ჟურნალ „სინათლის“ და მისი „გამოცხადების“, ანუ განცხადების შესახებ.

მ. ბერძენიშვილის დამსახურებაა, რომ მან ზუსტად დაათარიღა „გამოცხადების“ ტექსტი და იგი მიიჩნია არა უბრალო განცხადებად, არამედ მნიშვნელოვან პოლიტიკურ დეკლარაციად.

გამოკვლევის დასასრულს ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ 1838-1844 წლებში ქართველ მოწინავე ინტელიგენციაში კვლავ გროვდება ეროვნული ენერგია, შეძლებისა და პირობების მიხედვით ვითარდება სიტყვაკაზმული მწერლობა და მეცნიერება და სრულიად ბუნებრივად იდება ხიდი „აჯანყარმობის“ დროიდან ილია ჭავჭავაძის ეპოქამდე.

ნაშრომის მეორე ნაწილი ბიოგრაფიულ ლექსიკონს ეთმობა. აქ მოცემულია ცნობები მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე 185 პიროვნების შესახებ. მოწოდებული ცნობები ყველა ტოლფარდი არ არის. ზოგი პიროვნების შესახებ მსჯელობა საკმაოდ ვრცელი და საფუძვლიანია, დადგენილია მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი თარიღები, მითითებულია ლიტერატურა თუ წყაროები, რომელშიც ეს პიროვნებანი იხსენებიან, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ცნობები მეტად ზოგადია, ამა თუ იმ მოღვაწის დაბადება-გარდაცვალების თარიღებიც კი არ არის ნაჩვენები, მაგრამ ეს აიხსნება მასალის უქონლობით და არა ავტორის გულგრილობით.

მიუხედავად ამისა, ლექსიკონი საკმაოდ მდიდარ და საგანსახსნელმო მასალას გვაწვდის საქართველოს ისტორიულ-ლიტერატურული თუ პოლიტიკური ცხოვრების სფეროდან, ამიტომ მისი სრული სახით გამოცემა გადაუდებელ საქმედ უნდა მიეჩნიოთ.

მ. ბერძენიშვილის ნაშრომის დაწერიდან დიდმა დრომ განვლო. მას შემდეგ ბევრი ახალი მასალა აღმოჩნდა, ზოგ საკითხზე არსებითად შეიცვალა მკვლეგართა თვალსაზრისი, მოხდა რიგი დებულებების უნიფიცირება, ამდენად დღეს შეიძლება აღარ გვიზიაროთ ავტორის ზოგიერთი შეხედულება, მაგრამ ეს არ აშცირებს სარეცენზიო წიგნის ღირებულებას და მნიშვნელობას, რადგან მასში ეხვდებით ფრიად საყურადღებო მეცნიერულ დასკვნებსა და მიგნებებს, რომელთაგანაც ბევრი დღესაც ანგარიშგასაწევია.

ი. გოცვაძე,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

ჰიპოპოტამი თეჯირს მიღმაა...

**„...ამბავი, რომელიც ახლა უნდა გიამბოთ, მერალგუნდეთში მოხდა. აქ ასეთი წესია: ყირიფს რაფაელს ე